

დერმოსკოპიის განმარტებითი ლექსიკონი



ავტორები: სოფიკო ლილუაშვილი
თინა ქიტუაშვილი
გიორგი გალდავა

წინასიტყვაობა

დერმოსკოპია, როგორც შედარებით ახალი მიმდინარეობა კანისა და მისი დანამატების დიაგნოსტიკაში, მუდმივად ვითარდება და ხდება პოპულარული. მისი ტერმინოლოგია მეტად სპეციფიკურია, ამასთან არ არსებობს ქართულ ენაზე მისი შესატყვისი ლიტერატურა, რაც გარკვეულ სირთულეებს ქმნის ამ მეტად საჭირო სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის დერმატო-ვენეროლოგების მიერ ყოველდღიურ პრაქტიკაში გამოყენების დანერგვაში.

დერმოსკოპიის წინამდებარე განმარტებითი ლექსიკონის შექმნის იდეაც სწორედ აღნიშნული სირთულეების დაძლევის სურვილმა განაპირობა. ლექსიკონის ავტორთა მიზანია მიაწოდოს შესაბამის მკითხველს დერმოსკოპიაში გამოყენებული ტერმინოლოგია ქართულ ენაზე და ერთგვარად გაამარტივოს დერმოსკოპიული ტერმინოლოგიის სირთულე, რასაც ლოგიკურად მოჰყვება მისი დანერგვა ყოველდღიურ პრაქტიკაში.

ლექსიკონში წარმოდგენილია ძირითადი დერმოსკოპიული ტერმინები და დიაგნოსტიკის ალგორითმები, რომელთა გამოყენებითაც დამწყები დერმატო-ვენეროლოგებისათვის გაცილებით მარტივი იქნება კანისა და მისი დანამატების პათოლოგიათა შეცნობა.

ავტორები მადლობას უხდებიან ყველა ორგანიზაციას, ასოციაციასა და პიროვნებას, რომლებმაც წვლილი შეიტანეს პირველი დერმოსკოპიული განმარტებითი ლექსიკონის შექმნასა და გამოცემაში. სიამოვნებით იქნება მიღებული და გათვალისწინებული მკითხველის ყველა საქმიანი შენიშვნა და წინადადება.

რედაქტორი: მაია მათოშვილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი



A

ABCD rule - ABCD წესი, პირველი დერმოსკოპიული ალგორითმი, აღწერილი Stolz-ის მიერ, რომელიც გამოიყენება პიგმენტური წარმონაქმნების დიფერენცირებისა და ატიპიის ხარისხის განსაზღვრისათვის.

Acquired melanocytic nevi - შეძენილი მელანოციტური ნევუსი, მელანოციტური პროლიფერაციის შედეგი, რომლის აღმოჩენა ხდება სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა პერიოდში (პუბერტატულ პერიოდში ან სიცოცხლის მეოთხე ან მეხუთე დეკადაში).

Acral melanoma - აკრალური მელანომა, რომელიც ლოკალიზებულია სხეულის პერიფერიულ, წარზიდულ ნაწილებზე, ზემო და ქვემო კიდურების დაბოლოებაზე (ხელისა და ფეხის გულები, თითები და ფრჩხილები).

Acral nevus - აკრალური ნევუსი, კეთილთვისებიანი ხალი, რომელიც ლოკალიზებულია სხეულის პერიფერიულ, წარზიდულ ნაწილებზე, ზემო და ქვემო კიდურების დაბოლოებაზე (ხელისა და ფეხის გულები, თითები და ფრჩხილები).

Actinic keratosis - აქტინური, იგივე მზისმიერი კერატოზი, კიბოსწინარე მდგომარეობა, რომელიც ხშირია ღია ფერის კანის მქონე ინდივიდებში და უკავშირდება მზის ქარბ ექსპოზიციას კანზე.

Aggregated globules - გაერთიანებული გლობულები, მკეთრად შემოფარგლული, მრავლობითი, ოვალური ან მომრგვალო ფორმის, სხვადასხვა ზომისა და შეფერილობის სტრუქტურები, რომელიც დამახასიათებელია თანდაყოლილი და შეძენილი ნევუსებისათვის, წარმოადგენს მელანოციტების გროვას ეპიდერმისში.

Amelanotic melanoma - ამელანინური მელანომა, რომელსაც აქვს არასწორი საზღვრები და სხვადასხვაგვარი შეფერილობა (წითელი, ვარდისფერი, ღია ყავისფერი ან ნორმალური კანის ფერი).

Amorphous structures - უფორმო სტრუქტურები, რომლებიც შეიცავენ დიფუზურ პიგმენტაციას, არ გააჩნიათ სპეციფიკური შენება და დამახასიათებელია როგორც კეთილთვისებიანი, ასევე დისპლაზიური ნევუსებისათვის, ლურჯი ნევუსისა და კონტაგიოზური მოლუსკისათვის.

Angiogenesis - ახალი სისხლძარღვოვანი ქსელის განვითარება. პროცესი განსაკუთრებით აქტიურია კანის ავთვისებიანი სიმსივნეებისა და ფუნგოიდური მიკოზის დროს, შედეგად დერმოსკოპიული გამოკვლევით ვლინდება სხვადასხვა კონფიგურაციის სისხლძარღვოვანი ქსელი.

Angiokeratoma - ანგიოკერატომა, სისხლძარღვოვანი მალფორმაცია, რომელიც დერმოსკოპიულად ხშირად ჰგავს მელანომას, დათრომბილი სისხლძარღვების ადგილზე შავი შეფერილობის არეების არსებობის გამო.

Angioma - ანგიომა, მკვეთრი საზღვრების მქონე, მოწითალო-იისფერი ან მოლურჯო შეფერილობის კეთილთვისებიანი სისხლძარღვოვანი მალფორმაცია.

Arborizing vessels - მსხვილი კალიბრის სისხლძარღვები, განტოტვილი ხისმაგვარად რომელთა ქსელი წააგავს ხის ტოტებს, სპეციფიკური დერმოსკოპიული ნიშანი ბაზალურუჯრედოვანი კარცინომისათვის.

Asymmetric pigmentation - არასიმეტრიული პიგმენტაცია, რაც დამახასიათებელია დისპლაზიური ნევუსებისათვის, ამ შემთხვევაში პიგმენტი არათანაბრად არის განაწილებული (ცენტრალურად ან ექსცენტრულად).

Atypical globular pattern - ატიპური მარცვლოვანი კონფიგურაცია, რომელიც შედეგაა არათანაბარი ზომის წერტილებისა და გლობულებისაგან. დამახასიათებელია ატიპური ხალისა და კიბოსწინარე დაავადებებისათვის.

Atypical mole syndrome - ატიპური ხალების სინდრომი, მდგომარეობა, როცა ინდივიდს აქვს 50 ან მეტი პიგმენტური ნევუსი, რომელთაგანაც სამს ან მეტს აქვს ატიპური ცვლილებები (ზომა, ფორმა, შეფერილობა).

Atypical pigment network - ატიპური პიგმენტური ქსელი, გამოვლენილი შავი, მონაცრისფრო ან მოყავისფრო შეფერილობის არარეგულარული პიგმენტური ბადით ან მსხვილი ხაზებით, დამახასიათებელია ატიპური ხალებისათვის.

Atypical reticular pattern - ატიპური ბადისებრი კონფიგურაცია, ბადისებური შენების მქონე არარეგულარული პიგმენტაცია, დამახასიათებელია ატიპური ნევუსისა და ზედაპირული მელანომისათვის.

Atypical vascular pattern - ატიპური სისხლძარღვოვანი კონფიგურაცია, სხვადასხვა ზომისა და არათანაბარი განლაგების მქონე სისხლძარღვები, დამახასიათებელი ატიპური ცვლილებებისათვის.

B

Banal Nevus - ბანალური ნევუსი, იგივე კეთილთვისებიანი მელანოციტური ნევუსი.

Basal cell carcinoma - ბაზალურუჯრედოვანი კარცინომა (სინონიმი: ბაზალიომა), კანის კიბო, რომელიც უმეტესად ვითარდება მზის ექსპოზიციის ადგილზე და წარმოიქმნება კერატინოციტების დნმ-ის შეცვლის შედეგად.

Basaloid cell strings - ბაზალოიდური უჯრედების ზონრები, ბაზალურუჯრედოვანი კარცინომის სპეციფიკური პათომორფოლოგიური ნიშანი, ერთად თავმოყრილი სპეციფიკური უჯრედები, არშიის მსგავსი განლაგებით პერიფერიაზე.

Big ovoid nests - დიდი ზომის ოვალური ბუდეები, მკვეთრი საზღვრების მქონე პიგმენტური არეები, გამოსატულია პიგმენტური ქსელის არარსებობის პირობებში, დამახასიათებელია ბაზალურუჯრედოვანი კარცინომისათვის.

Blood spots - სისხლის ლაქები, სისხლნაჟღერებები, რომლებიც ვიზუალიზდებიან დერმოსკოპიული კვლევით, დამახასიათებელია ნებისმიერი ტრავმირებული წარმონაქმნისათვის, ტიპურია კერატოაკანტომის და ბოუენის დაავადების დერმოსკოპიული სურათისათვის.

Blue nevus - ლურჯი ნევუსი, კეთილთვისებიანი მელანოციტური ნევუსი, რომელიც ხასიათდება ჰომოგენური ლურჯი პიგმენტაციით, ლოკალიზებულია კანსა და ლორწოვან გარსებზე.

Blue-gray globules - მოლურჯო-ნაცრისფერი გლობულები, დამახასიათებელია ბაზალურუჯრედოვანი კარცინომისათვის.

Blue-red macules - მოლურჯო-წითელი ლაქები, დამახასიათებელია ლურჯი ნევუსისა და ანგიომებისათვის.

Blue-white veil - მოლურჯო-თეთრი ვუალი, დიფუზური, ამორფული პიგმენტაციის უბნები, სადაც არ ვიზუალიზდება რაიმე ტიპის სტრუქტურები, წარმოადგენს სიმსივნური უჯრედების კომპაქტური განლაგებისა და ურთიერთგადაფარვის შედეგს, დამახასიათებელია კანის ავთვისებიანი სიმსივნეებისა და ატიპური ხალებისათვის.

Bowen's disease - ბოუენის დაავადება, ზედაპირული ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა, დერმოსკოპიულად ახასიათებს ქერცლის, ტელეანგიექთაზიებისა და წერტილოვანი სისხლძარღვების არსებობა.

Bowenoid papulosis - ბოვენოიდური პაპულოზი, ინტრაეპითელური ნეოპლაზია, განვითარებული ანოგენიტალურ მიდამოში, კლინიკურად და დერმოსკოპიულად ჰგავს ვირუსულ მეჭეჭებს.

Brain-like structures - ტვინის მაგვარი სტრუქტურები, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ხაზების ერთობლიობა, რომელიც გარკვეული კანონზომიერებითაა შექმნილი და დამახასიათებელია სებორეული კერატომის დერმოსკოპიული სურათისათვის.

Brown globules - ყავისფერი გლობულები, დამახასიათებელია სხვადასხვა ტიპის თანდაყოლილი და შექმნილი ნევუსებისათვის.

C

Capillaroscopy - კაპილაროსკოპია, კაპილარების მორფოლოგიის შესწავლის არაინვაზიური და უსაფრთხო მეთოდი, რომლის დროსაც გამოიყენება დერმოსკოპი.

CASH algorithm - CASH ალგორითმი, დერმოსკოპიული ალგორითმი, რომელიც ეფუძნება ABCD წესს და ითვალისწინებს წარმონაქმნის ფერის, არქიტექტურული მახასიათებლების, სიმეტრიულობის, ჰომოგენურობის /არაჰომოგენურობის შეფასებას.

Concentric structures - კონცენტრირებული სტრუქტურები, ერთად თავმოყრილი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პიგმენტური ჩანართები, რაც დამახასიათებელია ბაზალურუჯრედოვანი კარცინომისათვის.

Capillary comb - კაპილარული სავარცხელი, ერთი და იგივე ზომის კაპილარების რეგულარული (კანონზომიერი განლაგება) ფრჩხილის ირგვლივ არეში.

Capillary density - კაპილარული სიმჭიდროვე, დერმოსკოპიული გამოკვლევით კანის 1მმ-იან მონაკვეთში კაპილარების რაოდენობა (ნორმაში 9 -17 კაპილარი).

Capillary dilation - კაპილარების გაფართოება, კარგად ვიზუალიზდება დერმოსკოპიული კვლევით და დამახასიათებელი ნიშანია ისეთი დაავადებებისთვის, როგორიცაა: დერმატომიოზიტი, სკლეროდერმია, სისტემური წითელი მგლურა.

Capillary loss - კაპილარების ნაკლებობა, მდგომარეობა, როცა კანის 0.5 მმ-ზე მეტი ზომის უბანი არის სისხლძარღვოვანი ქსელის გარეშე აღნიშნული დერმოსკოპიული ნიშანი ახასიათებს პროგრესულ სისტემურ დაავადებებს და წყლულის განვითარებისაკენ მიდრეკილ კანის უბნებს (მაგ., ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის დროს).

Capillary neoangiogenesis - ახალი კაპილარული ქსელის წარმოქმნა, მდგომარეობა, როცა დერმის ერთ დვრილში არის ოთხი ან მეტი კაპილარული მარყუჟი. მსგავსი სურათი დამახასიათებელია სკლეროდერმიისა და დერმატომიოზიტისათვის.

Capillary thrombosis - კაპილარული თრომბოზი, დამახასიათებელია სისტემური დაავადებებისათვის და დერმოსკოპიულად ვლინდება მოშავო ელფერის მასების სახით, რაც იმეორებს კაპილარული მარყუჟის ფორმას.

Central hyperkeratosis - ცენტრალური ჰიპერკერატოზი, გარქოვანებული მასების არსებობა წარმონაქმნის ცენტრალურ ნაწილში, დამახასიათებელია კერატოაკანტომის და ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის დერმოსკოპიული სურათისათვის.

Central white patch - თეთრი ლაქა წარმონაქმნის ცენტრში, კანის ნაწიბუროვანი ცვლილება, გამოწვეული დერმის ფიბროზით, რომელიც დამახასიათებელია დერმატოფიბრომისა და კანის ავთვისებიანი წარმონაქმნების დროს.

Cicatricial alopecia - ნაწიბუროვანი თმის ცვენა, რაც დერმოსკოპიულად გამოვლინდება თმის ფოლიკულების არარსებობით, თეთრი ფერის, ამორფული არეებით, რაც არის სხვადასხვა ანთებითი თუ აუტოიმუნური დაავადების შედეგი.

Clear cell acanthoma - გიგანტურუჯრედოვანი აკანტომა, იშვიათი, კეთილთვისებიანი კვანძოვანი წარმონაქმნი, დამახასიათებელი დერმოსკოპიული სურათია ყავისფერი ჩანართები, მოვარდისფრო ან მოწითალო შეფერილობა.

Cobblestone pattern - ქვაფენილის კონფიგურაცია, პიგმენტური მარცვლების ერთობლიობა, რაც ქმნის ქვაფენილის შესახედაობას, დამახასიათებელია თანდაყოლილი ნევუსების ზოგიერთი ფორმის დერმოსკოპიული სურათისათვის.

Collision tumor - სიმსივნე, რომელიც შექმნილია ორი სხვადასხვა სიმსივნის შერწყმის შედეგად, რომელთაგანაც ერთი კეთილთვისებიანია, მეორე კი - ავთვისებიანი, მათთვის დამახასიათებელი დერმოსკოპიული ნიშნებით.

Combined nevi - კომბინირებული ნევუსი, რომელიც შექმნილია ორი ტიპის ნევუსისაგან. მაგ., კლარკის ნევუსისა და ლურჯი ნევუსის კომბინაცია, მათთვის დამახასიათებელი დერმოსკოპიული სურათით.

Comedo-like openings - კომედონების მსგავსი ხვრელები, მომრგვალო ან ოვალური კრატერები, დაფარული მუქი ყავისფერი საცობებით, დამახასიათებელია სებორეული კერატომის დერმოსკოპიული სურათისათვის.

Comma-like vessels - მძიმის მსგავსი სისხლძარღვები, დამახასიათებელია ინტრადერმული ნევუსის, თანდაყოლილი მელანოციტური ხალისა და დისპლაზიური ნევუსის დერმოსკოპიული სურათისათვის.

Corkscrew vessels - სპირალისებული სისხლძარღვები, დამახასიათებელია ნოდულარული მელანომისა და მისი მეტასტაზებისათვის.

Crown vessels - გვირგვინის მსგავსი სისხლძარღვები, დამახასიათებელია ცხიმოვანი ჯირკვლის ჰიპერპლაზიისა და კონტაგიოზური მოლუსკის დერმოსკოპიული სურათისათვის, ძირითადად ლოკალიზებულია წარმონაქმნის პერიფერიულ ნაწილში.

Crystalline structures - გამჭვირვალე სტრუქტურები, მოთეთრო ფერის კრისტალური არეები, რაც დამახასიათებელია ბაზალურუჯრედოვანი კარცინომის დერმოსკოპიული სურათისათვის.

Cylindroma - ცილინდრომა, იშვიათი, კეთილთვისებიანი წარმონაქმნი, რომელიც წარმოადგენს ბაზალურუჯრედოვანი კარცინომის დერმოსკოპიულ სიმულატორს, ახასიათებს განტოტვილი სისხლძარღვები და კრისტალური არეები.

D

Deep penetrating blue nevus - ღრმად პენეტრირებადი ლურჯი ნევუსი, დერმასა და კანქვეშა ქსოვილიდან განვითარებული ლურჯი ნევუსი, რომელიც დერმოსკოპიულად ჰგავს მელანომას.

Dendritic melanocytes - დატოტვილი მელანოციტები, რომელთა დენდრიტები მონაწილეობენ პიგმენტური მარცვლების გადატანაში მათ მეზობლად მდებარე სხვა ეპიდერმულ უჯრედებში.

Dermatofibroma - დერმატოფიბრომა, იგივე ფიბროზული ჰისტოციტომა, კეთილთვისებიანი წარმონაქმნი, რომელიც ხასიათდება მრავალფეროვანი არქიტექტონიკითა და დერმოსკოპიული ნიშნებით.

Dermatofibroma-like lesions - დერმატოფიბრომის მსგავსი წარმონაქმნები, რომელთაც აქვთ დერმატოფიბრომისათვის დამახასიათებელი დერმოსკოპიული სურათი, მაგ. მელანომა, რომელსაც ზოგჯერ ახასიათებს ცენტრალური ნაწილის ნაწიბუროვანი ცვლილება და/ან პიგმენტური ქსელი პერიფერიულ ნაწილში.

Dermoscopy - დერმოსკოპია, კანის გამოკვლევის არაინვაზიური ინსტრუმენტული მეთოდი, რომელიც გამოიყენება როგორც პიგმენტური და არაპიგმენტური წარმონაქმნების, ასევე კანის სხვადასხვა დაავადების დიაგნოსტიკისათვის.

Dermoscopic evaluation - დერმოსკოპიული შეფასება, წარმონაქმნის არაინვაზიური კვლევა დერმოსკოპის გამოყენებით, რაც ითვალისწინებს მის შესწავლას ჰორიზონტალურ ჭრილში, დვრილოვანი დერმის დონემდე.

Dermoscopy color - დერმოსკოპიული ფერი, რომელიც დერმოსკოპიული კვლევის დროს იძლევა ძალიან მნიშვნელოვან მორფოლოგიურ ინფორმაციას. მაგ., თუ პიგმენტი მელანინი ლოკალიზებულია ეპიდერმისის რქოვანა შრეში, მისი შეფერილობა არის შავი, ხოლო თუ ის ლოკალიზებულია დერმისა და ეპიდერმისის საზღვარზე, დერმოსკოპიულად აქვს ღია ან მუქი ყავისფერი შეფერილობა. მოლურჯო ან მონაცრისფრო შეფერილობა გულისხმობს მელანინის არსებობას დერმაში.

Dermoscopy structures - დერმოსკოპიული სტრუქტურები: პიგმენტური ქსელი, სისხლძარღვები, კრისტალური სტრუქტურები, ლაკუნები, მილიუმის მსგავსი ცისტები, კომედონების მსგავსი ხვრელები და სხვ., რომელთაც გააჩნიათ ძირითადი დიაგნოსტიკური ღირებულება დერმოსკოპიაში.

Diffuse hairpin vessels - დიფუზური სარქისებური სისხლძარღვები, U-ს მაგვარი კონფიგურაციის კაპილარები, რომელიც ახასიათებს სებორეული კერატომის, კერატოაკანტომის, სპიტცის ნევუსის და მელანომის დერმოსკოპიულ სურათს.

Dots - წერტილები, წარმოადგენენ ძირითად დერმოსკოპიულ სტრუქტურებს, რომელთა შეფერილობა და კონფიგურაცია განსხვავებულია სხვადასხვა დაავადების დროს.

Dotted-globular pattern - წერტილოვანი-გლობულარული კონფიგურაცია, დერმოსკოპიული სურათი, გამოსატული სფეროსებური პიგმენტური ჩანართებით, დამახასიათებელია მეჭეჭოვანი დერმალური ნევუსისათვის.

Dotted vessels - წერტილოვანი სისხლძარღვები, დერმოსკოპიული კვლევით ვიზუალიზდება როგორც წითელი ფერის წერტილები, დამახასიათებელია სპიტცის ნევუსისათვის, სტაზური დერმატიტისათვის, ფსორიაზისთვის (ფსორიაზული ტრიადის შემადგენელი კომპონენტი), ბრტყელუჯრედოვანი კარცინომისა და ამელანოციტური მელანომისათვის.

Drug-induced nail pigmentation - ფრჩხილის პიგმენტაცია, რომელიც მედიკამენტებით არის გამოწვეული, შესაძლოა დაზიანებული იყოს ერთი ან რამდენიმე ფრჩხილის ფირფიტა, დერმოსკოპიულად გამოვლინდება სიგრძივი ან განივი პიგმენტური ზონრები, რომლებიც ერთგვაროვანი შენებით და სიმეტრიით ხასიათდება.

Dysplastic nevi - დისპლაზიური ნევუსი, ხალის სპეციფიკური ტიპი, რომელიც ხასიათდება ABCD წესის კომპონენტების ცვლილებით (მაგ., ასიმეტრია, საზღვრების დარღვევა, ფერთა გამა, დიამეტრის ცვლილება).

Dystrophic hair - დისტროფიული თმა, დამახასიათებელია თმის ცვენის დერმოსკოპიული სურათისათვის, გამოსატულია თმის ღერის პროქსიმალური ნაწილის დიამეტრის შემცირებით და არარეგულარული კონტურით.

E

Eccrine poroma - ეკრინული პორომა, კეთილთვისებიანი წარმონაქმნი, რომელიც ვითარდება ეკრინული საოფლე ჯირკვლის გამომტანი სადინრის იმ ნაწილიდან, რომელიც მდებარეობს ეპიდერმისში. დერმოსკოპიულად მისი დიფერენცირება საჭიროა კეთილთვისებიანი (პიოგენური გრანულომა, სებორეული კერატომა) და ავთვისებიანი (ბაზალურუჯრედოვანი კარცინომა) წარმონაქმნებისაგან. ხასიათდება პოლიმორფული სისხლძარღვებით, ვარდისფერი მომრგვალო ლაკუნებით, ცენტრში მოყვითალო ელფერის ჩანართით („შემწვარი კვერცხის“ ნიშანი).

Empty follicles - ცარიელი ფოლიკულები, დერმოსკოპიულად შესაძლოა იყოს ფიზიოლოგიური პროცესის გამომხატველი (ტელოგენური თმის ცვენასა და ანაგენური თმის განვითარებას შორის პერიოდში - „პაუზა“ თმის განვითარების ციკლში), ასევე, შესაძლოა, გამოსატავდეს პათოლოგიურ პროცესს (ტელოგენური, ანდროგენული და ბუდობრივი თმის ცვენის დროს).

Endocrine nail pigmentation - ფრჩხილის პიგმენტაცია, რომელიც გამოწვეულია ენდოკრინული პათოლოგიებით (ადისონის დაავადება, კუმინგის სინდრომი,

ჰიპერთირეოიდიზმი, აკრომეგალია), დერმოსკოპიულად ხშირად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე ფრჩხილის სიგრძივი პიგმენტაცია.

Entomodermoscopy - ენტომოდერმოსკოპია, დერმოსკოპიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის კანისა და მისი დანამატების ვირუსული და პარაზიტული დაავადებების (მეჭექები, კონტაგიოზური მოლუსკი, მუნი, ონიქომიკოზი, მკბენარიანობა, ლეიშმანიოზი და სხვ.) დამახასიათებელ დერმოსკოპიულ სურათს.

Ethnic nail pigmentation - ფრჩხილის პიგმენტაცია, რომელიც ეთნიკური ფაქტორებით არის განპირობებული, დამახასიათებელია მუქი ფერის კანის ინდივიდებისათვის და გამოსატულია რამდენიმე ფრჩხილის ფირფიტის მუქი შეფერილობით, სიმეტრიული და ერთგვაროვანი პიგმენტური ზონრებით.

Exogenous nail pigmentation - ფრჩხილის პიგმენტაცია, რომელიც გარეგანი მიზეზებით არის გამოწვეული (ქიმიური აგენტები, თამბაქო, კოსმეტიკა, თმის საღებავები), დერმოსკოპიულად ვლინდება რამდენიმე ფრჩხილის ფირფიტის ჰომოგენური (ერთგვაროვანი) პიგმენტაციით.

F

Fat fingers - სქელი თითები, დერმოსკოპიული ნიშანი, რომელიც ასახავს მსხვილი დიამეტრის მქონე თითისებური სტრუქტურების არსებობას სებორეული კერატომის პერიფერიულ ნაწილში.

Fibrillar pattern - ფიბრილარული, ბოჭკოვანი კონფიგურაცია, დერმოსკოპიულად გამოსატულია წვრილი, ბოჭკოვანი პიგმენტური საზები, რომლებიც ერთმანეთს კვეთენ, დამახასიათებელია ფიბრილარული და აკრალური ნევუსებისათვის.

Fibrosis - ფიბროზი, უჯრედგარე მატრიქსის კომპონენტების აკუმულაცია დერმაში, რომელიც დერმოსკოპიულად გამოვლინდება თეთრი ფერის უფორმო არეების არსებობით, ახასიათებს ატიპიურ და ნაწიბუროვან ცვლილებებს.

Fingerprint-like pattern - თითის ანაბეჭდის მსგავსი კონფიგურაცია, დერმოსკოპიულად დამახასიათებელია სხვადასხვა დიამეტრის მქონე სტრუქტურების თანაკვეთა, რაც მოგვაგონებს თითის ანაბეჭდს და ახასიათებს სებორეულ კერატომას და გენიტალური მელანოციტურ ლაქებს.

Fish scale-like pattern - თევზის ქერცლის მსგავსი კონფიგურაცია, დერმოსკოპიულად დამახასიათებელია იდენტური ზომის სტრუქტურები, რომლებიც თევზის ქერცლის მსგავსად არის განლაგებული და ტიპურია ტუჩის მელანოციტური ლაქებისათვის.

Fissures - ნაპრალები, რომლებიც შეესაბამება ჰისტოლოგიურად კერატინის ჩანერგვას ეპიდერმისში და დერმოსკოპიულად გამოვლინდება პარალელური საზებით, რაც

განაპირობებს „ტვინის მსგავსი“ სტრუქტურების არსებობას, რომელიც ტიპურია სებორეული კერატომის დერმოსკოპიული სურათისათვის.

Focal atypical network - ფოკალური ატიპური ქსელი, დერმოსკოპიულად გამოვლენილი წერტილოვანი ატიპია, რომელიც ხშირად თან ახლავს ამა თუ იმ წარმონაქმნის რეგრესულ ცვლილებებს.

Follicular red dots - ფოლიკულური წითელი წერტილები, სისხლძარღვოვანი კომპონენტები თმის ფოლიკულის შიგნით, რაც დამახასიათებელია მწვავე დისკოიდური წითელი მგლურას დერმოსკოპიული სურათისათვის.

Follicular openings - ფოლიკულური შესართავები, დერმოსკოპიულად გამოსატული მკვეთრად შემოსაზღვრული, მომრგვალო ფორმის კერატინული გროვები, რაც დამახასიათებელია სებორეული კერატომისათვის და პიგმენტური აქტინიური კერატომისათვის.

Folliculitis decalvans - დეკალვირებადი ფოლიკულიტი, თავის თმიანი მიდამოს ქრონიკული ანთებითი დაავადება, რაც იწვევს ნაწიბუროვანი ალოპეციის განვითარებას, დერმოსკოპიულად ახასიათებს რამდენიმე თმის ღერის არსებობა ერთ ფოლიკულში და პერიფოლიკულური აქერცვლა, დამახასიათებელი ყვითელი შეფერილობით. მოგვიანებით სტადიაზე დამახასიათებელია ფიბროზული კერების არსებობა, თეთრი ფერის უფორმო სტრუქტურებით.

Flower-like appearance - ყვავილის მსგავსი გამოსახულება, დერმოსკოპიულად გამოვლინდება განშტოებების მქონე პიგმენტური უბნების სახით, რაც დამახასიათებელია ეკრინული პორომისათვის.

Frontal fibrosing alopecia - ფრონტალური ფიბროზული ალოპეცია, ნაწიბუროვანი თმის ცვენის ერთ-ერთი სახე, დერმოსკოპიულად დამახასიათებელია ფოლიკულების არარსებობა, თეთრი წერტილები, ფოლიკულის ირგვლივ აქერცვლა და ერიტემა, პროცესი ვითარდება წარბების მიდამოშიც.

Frictional longitudinal melanonychia - ხახუნით გამოწვეული სიგრძივი მელანონიქია, ფრჩხილის პიგმენტაცია, რომელიც გამოწვეულია ფეხსაცმლის ზეწოლით ან განმეორებითი ტრავმირებით, ძირითადად ეხება ტერფის პირველ თითს, დერმოსკოპიულად გამოხატულია სიგრძივი, ღია ყავისფერი შეფერილობის პიგმენტაციით, რომელიც მექანიკური გაღიზიანების შეწყვეტის შემდეგ სპონტანურად უკუგანვითარდება.

G

Giant congenital melanocytic nevus - გიგანტური ზომის თანდაყოლილი მელანოციტური ნევუსი, რომლის ზომა აღემატება 20 სმ-ს.

Globular nevi - გლობულარული ნევუსი, თანდაყოლილი ნევუსი, რომელიც, ძირითადად, სტრუქტურულად და დერმოსკოპიულად არ იცვლება მთელი სიცოცხლის მანძილზე. დერმოსკოპიულად დამახასიათებელია მუქი ყავისფერი შეფერილობის, ერთი ზომის გლობულები, რომლებიც განლაგებულნი არიან სიმეტრიულად.

Globular pattern - გლობულარული კონფიგურაცია, განისაზღვრება როგორც აგრეგირებული, მრგვალი ან ოვალური ფორმის სტრუქტურების არსებობა, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს ყავისფერი ან მონაცრისფრო-შავი შეფერილობა. მარცვლოვანი შენება დამახასიათებელია თანდაყოლილი მელანოციტური და ინტრადერმული ნევუსისათვის.

Globular-reticular nevi - გლობულარულ-ბადისებური ნევუსი, შერეული ნევუსი, რომლის დერმოსკოპიულ სურათს უწოდებენ „შემწვარი კვრცხის“ მსგავს გამოვლინებას: მისი ცენტრალური ნაწილი წამოწეულია კანის ზედაპირიდან, ახასიათებს მარცვლოვანი შენება და არის დერმალური კომპონენტი, ხოლო პერიფერიული ნაწილი ბადისებური შენებისაა და წარმოადგენს ეპიდერმულ კომპონენტს.

Globules - გლობულები, სიმეტრიული, მკვეთრი საზღვრების მქონე მრგვალი ან ოვალური ფორმის დერმოსკოპიული სტრუქტურები, რომელთა დიამეტრი მეტია 0.1 მმ-ზე. ისინი წარმოადგენენ ჰიგმენტ მელანინის გროვებს, რომლებიც ლოკალიზებულნი არიან ეპიდერმისში, დერმისა და ეპიდერმულ საზღვარზე ან დერმის დვრილოვან ნაწილში, რის გამოც აქვთ სხვადასხვა ფერი (ყავისფერი, შავი, ლურჯი-მონაცრისფრო ან წითელი) შეფერილობა.

Glomerular vessels - გლომერულური სისხლძარღვები, რომლებიც დერმოსკოპიულად გამოვლინდება სპირალურად დახვეული დილატირებული კაპილარების სახით, დამახასიათებელია ბოუნის დაავადებისა და ბრტყელუჯრედოვანი კარცინომისათვის (მსგავსი კონფიგურაციის სისხლძარღვები დამახასიათებელია თირკმლის გლომერულური აპარატისათვის, საიდანაც მოდის მისი სახელწოდება).

Gorlin- Goltz Syndrome - გორლინ-გოლტცის სინდრომი, აუტოსომურ-დომინანტური დაავადება, რომელსაც მრავლობით ბაზალურუჯრედოვან კარცინომასთან ერთად ახასიათებს მრავლობითი ოდონტოგენური ცისტები, ძვალ-კუნთოვანი და ნევროლოგიური დარღვევები.

Granularity - მარცვლოვანება, მრავლობითი, ძალიან მცირე ზომის (დიამეტრი <0.1 მმ-ზე), მოლურჯო-მონაცრისფრო წერტილების ერთობლიობა, რომელიც საჭიროებს დიფერენცირებას ნაცრისფერი ვუალისაგან, ჰისტოპათოლოგიურად შეესაბამება მელანინის აკუმულაციას ეპიდერმისის ზედა შრეებში, დამახასიათებელია როგორც

კეთილთვისებიანი მელანოციტური ხალების, ასევე მელანომის დერმოსკოპიული სურათისათვის.

Growing nevi - მზარდი ნევუსი, თანდაყოლილი, რომელსაც ახასიათებს დროთა განმავლობაში პერიფერიული ზრდა და შესაძლოა ჰქონდეს მარცვლოვანი, მარცვლოვან-ბადისებური ან „ქვაფენილისებური“ შენება.

H

Hairpin vessels - სარჭისებური სისხლძარღვები, “U“-ს ფორმის სისხლძარღვები, რომელთა დიამეტრი სხვადასხვაა, დამახასიათებელია სებორეული კერატომის, კერატოაკანთომის, მელანომის და სპიტცის ნევუსის დერმოსკოპიული სურათისათვის.

Hair shaft diameter heterogeneity - თმის ღერის დიამეტრის არაერთგვაროვნება, მდგომარეობა, როცა დერმოსკოპიული კვლევით გამოვლინდება სხვადასხვა დიამეტრის მქონე თმის ღერები, დამახასიათებელია ანდროგენული ალოპეციისათვის და მიუთითებს თმის ღერის მინიატურიზაციის შეუქცევად პროცესზე.

Handheld dermoscope - პორტატული დერმოსკოპი, რომელიც არ არის სტაციონარული დერმოსკოპი, შესაბამისად, არ არის პაციენტის შესახებ ინფორმაციის დამუშავებისა და შენახვის შესაძლებლობა.

Hemangioma - ჰემანგიომა, კეთილთვისებიანი, სისხლძარღვოვანი წარმოშობის წარმონაქმნი, რომელიც, კანის გარდა, შესაძლოა განვითარდეს კუნთებში, ძვლებსა და შინაგან ორგანოებში. დერმოსკოპიული სურათი მრავალფეროვანია, მათი სიღრმისა და სახეობის გათვალისწინებით.

Hematoma - ჰემატომა, სისხლის დაგროვება სისხლძარღვის გარეთ, ქსოვილებში, რაც გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით (მაგ. ტრავმა), განპირობებული სისხლძარღვის კედლის მთლიანობის დარღვევით. დერმოსკოპიულად გამოვლინდება მოშავო, მოყავისფრო ან ჟანგისფერი ამორფული ლაქოვანი სტრუქტურის სახით, დამახასიათებელია წარმონაქმნების მექანიკური დაზიანებისათვის.

Hemorrhagic spots - ჰემორაგიული ლაქები, სისხლჩაქცევის შედეგად განვითარებული სტრუქტურა, რომელსაც აქვს წითელი, იისფერი, ყავისფერი ან ლურჯი შეფერილობა, რაც დამოკიდებულია მექანიკური დაზიანების ხანდაზმულობაზე, ხშირია ფრჩხილქვეშა ჰემორაგიული ლაქები, რაც საჭიროებს დიფერენციაციას მელანომასთან.

Homogenous blue coloration - ერთგვაროვანი ლურჯი შეფერილობა, დამახასიათებელია ლურჯი ნევუსისათვის.

Honeycomb pigment pattern - ფიჭისებური პიგმენტური კონფიგურაცია, გამოხატულია მოყავისფრო ელფერის წრეების სახით, ძირითადად თავის თმთან არეში, ნორმალ

ითვლება მუქი შეფერილობის კანისათვის, ხშირია თეთრკანიან ინდივიდებში თმის ცვენის არეებში, რასაც განაპირობებს მზის სხივების ზემოქმედება.

Hypermelanotic nevus - ჰიპერმელანინური ნევუსი, იგივე შავი ნევუსი, რომელსაც ახასიათებს ცენტრალური ნაწილის ჰიპერპიგმენტაცია და ნორმალ ითვლება მუქი შეფერილობის კანის მქონე ინდივიდებისათვის.

Hyphal-like structures - ჰიფების მსგავსი სტრუქტურები, ბადისებური პიგმენტაციის ფრაგმენტები, განლაგებული მძივის მსგავსად, რაც დამახასიათებელია თანდაყოლილი მელანოციტური ნევუსისათვის.

Hypomelanotic melanoma - ჰიპომელანინური მელანომა, დერმოსკოპიულად ახასიათებს წერტილოვანი და ხაზოვანი სისხლძარღვები, მოთეთრო- მოვარდისფრო ფონზე.

I

Immersion liquids - იმერსიული სითხეები (ზეთი, გელი), რომელიც გამოიყენება დერმოსკოპიის დროს და აუმჯობესებს ვიზუალიზაციის ხარისხს, განსაკუთრებით ონიქსოკოპიის პროცესში.

Ink-spot lentigo - „მელანის ლაქის“ მსგავსი ლენტიგო, ჰიპერპიგმენტური წარმონაქმნი, რომელიც დერმოსკოპიულად გამოვლინდება მსხვილი, მუქი შეფერილობის პიგმენტური ქსელით, რომლის დაბოლოება ემთხვევა წარმონაქმნის დემარკაციულ ხაზს. ხშირად შეცდომით დიაგნოსტირდება, როგორც მელანომა.

Intradermal nevus - ინტრადერმული ნევუსი, მკვეთრი საზღვრების მქონე, კანის ზედაპირიდან წამოწეული, რბილი კონსისტენციის ნევუსი, ხშირად პიგმენტური ჩანართებით, მისი განვითარება დერმის დონეზე მელანოციტების გროვების ჩამოყალიბების შედეგია.

Invasive acrolentiginous melanoma - ინვაზიური აკროლენტიგინოზური მელანომა, სხეულის წარზიდული ნაწილების მელანომა, რომელსაც დერმოსკოპიულად ახასიათებს ფერთა გამა, დიფუზური პიგმენტაცია და ცენტრალური ნაწილის ჰიპერკერატოზი.

Invasive squamous cell carcinoma - ინვაზიური ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა, კანის ინვაზიური სიმსივნე, რომელიც ხასიათდება სისხლძარღვების პოლიმორფიზმით (ძირითადად სარქისმაგვარი და წერტილოვანი სისხლძარღვები), სამიზნისმაგვარი ფოლიკულური არეებით, კერატინის გროვებით და მოთეთრო ელფერის ფონით.

Invasive superficial spreading melanoma - ინვაზიური ზედაპირული გავრცელების მელანომა, ავთვისებიანი სიმსივნე, შეფასებული ბრესლოუს სკალის გამოყენებით,

ახასიათებს მონაცრისფრო ვუალი, ნეგატიური პიგმენტური ქსელი და პერიფერიულად განლაგებული წერტილები/გლობულები.

Irregular blotch - არარეგულარული ლაქა, რომელიც მოიცავს შავ, ყავისფერ, ნაცრისფერ უსტრუქტურო არეებს, რომლებიც ქაოტურად არიან განლაგებული წარმონაქმნის შიგნით და მიუთითებენ ატიპიურ ცვლილებაზე.

Irregular dots - არარეგულარული წერტილები, განლაგებულნი არიან პიგმენტური წარმონაქმნის პერიფერიაზე, შემთხვევითი განაწილებით და არ ფარავენ პიგმენტური ქსელის შემადგენელ ხაზებს.

Irregular globules - არარეგულარული გლობულები, წერტილებთან შედარებით დიდი ზომის სტრუქტურები, რომლებიც შემთხვევითობის პრინციპით არიან განაწილებული, აქვთ სხვადასხვაგვარი შეფერილობა, ზომა და მოხაზულობა, ახასიათებს მალიგნიზაციის პროცესს.

Irregular vascular pattern - არარეგულარული სისხლძარღვოვანი კონფიგურაცია, შემთხვევითობის პრინციპით განაწილებული სისხლძარღვები, რომელთა შორის ვიზუალიზდება რეგრესიული არეები, მოთეთრო-ვარდისფერი შეფერილობით, ახასიათებს წარმონაქმნის ატიპიურ ცვლილებებს.

J

Jelly sign - ჟელეს ნიშანი, ღია ყავისფერი ან მოყვითალო შეფერილობა დერმოსკოპის ზეწოლისას, რაც პათომორფოლოგიურად შეესაბამება გრანულომატოზურ პათოლოგიურ პროცესს.

Junction nevus - ბრტყელი მელანოციტური ნევისის ერთ-ერთი სახე, რომელიც წარმოიქმნება ეპიდერმისისა და დერმის საზღვარზე მელანოციტების გროვების არსებობის გამო.

K

Keratoacanthoma - კერატოაკანთომა, კანის კიბოსწინარე წარმონაქმნი, რომელიც დერმოსკოპიულად გამოვლინდება ცენტრალური ნაწილის ჰიპერკერატოზით (ვულკანისმსგავსი სურათი), პერიფერიული სარქისმაგვარი დათრომბილი სისხლძარღვებით, თეთრი, ყვითელი და ნარინჯისფერი არეებით.

Keratotic central mass - ცენტრალური კერატინული გროვები, ჰიპერკერატინიზაციის შედეგი, დერმოსკოპიულად ახასიათებს მოყვითალო შეფერილობა და

დამახასიათებელია სებორეული კერატომის, კერატოაკანტომისა და ბრტყელუჯრედოვანი კარცინომისათვის.

L

Lacunae - ლაკუნები, მკვეთრი საზღვრების მქონე დერმოსკოპიული ელემენტები, წითელი, მოლურჯო-წითელი ან მოლურჯო-შავი შეფერილობით, დამახასიათებელია ანგიომებისა და ანგიოკერატომებისათვის, შეესაბამება გაფართოებული სისხლძარღვების საპროექციო არეებს.

Lattice-like pattern - გისოსებისმაგვარი კონფიგურაცია, დამახასიათებელი მელანოციტური წარმონაქმნებისათვის, სადაც პიგმენტური ხაზები ერთმანეთს კვეთენ არა მარტო ვერტიკალურად, არამედ ჰორიზონტალურადაც, ხშირად გამოსატულია წარმონაქმნების ხელისა და ფეხის გულებზე ლოკალიზაციისას.

Leaf-like structures - ფოთლისმაგვარი სტრუქტურები, ფოთლისმაგვარი პიგმენტური ჩანართები დამახასიათებელი პერიფერიით, შეფერილობა შესაძლოა იყოს ღია ყავისფერი ან მოლურჯო-მოყვითალო, დამახასიათებელია ბაზალურუჯრედოვანი კარცინომისათვის.

Lentigo - ლენტიგო, კეთილთვისებიანი, ბრტყელი პიგმენტური წარმონაქმნი, რომელიც ჭორფლისაგან განსხვავებით არ ქრება ზამთრის პერიოდში. ვითარდება მზის ექსპოზიციის ადგილებში, დერმოსკოპიულად ახასიათებს მოყავისფრო ელფერის, მკვეთრი საზღვრების მქონე ლაქების არსებობა, ბადისებრი პიგმენტაციით.

Lentigo maligna melanoma - ლენტიგო მალიგნიზირებული მელანომა, წარმონაქმნი, რომელიც ვითარდება მზის ექსპოზიციის კერებში, დერმოსკოპიულად ახასიათებს პერიფოლიკულური არეების ასიმეტრიული პიგმენტაცია ნაცრისფერი ან შავი შეფერილობით, ნაცრისფერი წერტილები და გლობულები, ამავე შეფერილობის ვერტიკალური ხაზები ფოლიკულის ირგვლივ და რომბისებური სტრუქტურები.

Lentigo solaris - მზისმიერი ლენტიგო, ულტრაიისფერი გამოსხივების შედეგად განვითარებული მოყავისფრო ლაქები, რომელიც ვითარდება მელანინის დაგროვების შედეგად კერატინოციტებში, დერმოსკოპიულად ახასიათებს მოყავისფრო არეები, ზედაპირული პიგმენტაციით, ნორმალური სისხლძარღვოვანი ქსელით.

Linear vessels - ხაზოვანი სისხლძარღვები, სისხლძარღვთა მორფოლოგიის ერთ-ერთი ვარიანტი, რომელიც კონფიგურაციით შეიძლება იყოს სწორი, მძიმისმაგვარი, სარჭისმაგვარი, სპირალური, თითოეული მათგანი დამახასიათებელია სხვადასხვა ტიპის წარმონაქმნისათვის.

Longitudinal melanonychia - სიგრძივი მელანონიქია, ერთგვაროვანი, მოყავისფრო ან მოშავო სიგრძივი ხაზი ფრჩხილის ფირფიტაზე, რასაც აქვს სხვადასხვა მიზეზი

(ენდოკრინული დაავადებები, ტრავმა და ა.შ) და გამოწვეულია მელანოციტების აქტივაციით.

LPLK (Lichen planus like keratosis) - ბრტყელი ლიქენის მსგავსი კერატოზი, სოლიტარული პაპულა ან მაკულა, რომელიც თვითონვე განიცდის რეგრესს, დერმოსკოპიულად ახასიათებს ვარდისფერი ფონი, როზეტები და რეგრესიის კერები, რის გამოც საჭიროებს დიფერენცირებას კანის ავთვისებიანი სიმსივნეებისაგან.

M

Malignant melanoma - მალიგნიზირებული მელანომა, კანის ავთვისებიანი სიმსივნე, რომელიც შეიძლება გაჩნდეს შეუცვლელ კანზე ან განვითარდეს უკვე არსებული ხალისგან. დერმოსკოპიულად ახასიათებს ატიპიური პიგმენტიური ქსელი, სისხლძარღვების პოლიმორფიზმი, არასწორი საზღვრები და ფერთა გამა.

Melanin - მელანინი, კანის ბუნებრივი პიგმენტი, რომელიც დერმოსკოპიულად გამოვლინდება მუქი ყავისფერი ან მოშავო ჩანართების სახით.

Melanotic labial macule - ტუჩის მელანიური ლაქა, უპირატესად ქვედა ტუჩზე არსებული, მკვეთრი საზღვრებისა და ყავისფერი ელფერის კერა, რომელსაც დერმოსკოპიულად აქვს დამახასიათებელი „თევზის ქერცლის“ მსგავსი შესახედაობა.

Menzies method - მენზის მეთოდი, რომელიც გამოიყენება მელანომის დიაგნოსტიკისათვის და აფასებს 11 დიაგნოსტიკურ ნიშანს.

Microhemorrhages - მიკროჰემორაგიები, მცირე ზომის სისხლჩაქევეები, რომლებიც ხშირია კაპილარების დაზიანების შემდეგ, ტრავმის შედეგად, ასევე დამახასიათებელია ვასკულიტისათვის და გამოვლინდება სხვადასხვა ფერის ლაკუნების სახით.

Milia-like cysts - მილიას მსგავსი ცისტები, თეთრი ან ყვითელი შეფერილობის მკვეთრი საზღვრების მქონე დერმოსკოპიული კომპონენტები, რომელთა არსებობა ძირითადად დამახასიათებელია სებორეული კერატომისათვის, თუმცა გვხვდება მელანომისა და ბაზალურუჯრედოვანი კარცინომის დერმოსკოპიულ სურათშიც, სხვაგვარად უწოდებენ „ვარსკვლავები ცაზე“, მისი ვიზუალიზაცია ხდება არაპოლარიზებული დერმოსკოპით.

Micro-hutchinson sign - მიკრო-ჰატჩინსონის ნიშანი, ფრჩხილის ირგვლივი ქსოვილის მუქი შეფერილობა, რომელიც შესამჩნევია მხოლოდ დერმოსკოპიული კვლევით, ხშირად მიუთითებს ფრჩხილქვეშა მელანომის არსებობაზე.

N

Naifold capillaroscopy - ფრჩხილის მორგვების კაპილაროსკოპია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სისტემური დაავადებების დროს (სისტემური წითელი მგლურა, სისტემური სკლეროდერმია), ყურადღება ექცევა კაპილარების არქიტექტონიკას და მათ სიმჭიდროვეს.

Negative pigment network - ნეგატიური პიგმენტური ქსელი, დამახასიათებელია მელანომისა და სპიტცის ნევუსისათვის, გამოვლინდება უსტრუქტურო მოყავისფრო ელფერის არეების სახით.

Neovascularization - ნეოანგიოგენეზი, ახალი სისხლძარღვების წარმოქმნა, რომელიც დამახასიათებელია კანის ავთვისებიანი სიმსივნეებისათვის, ძირითადად პერიფერიულ ნაწილში და მიუთითებს სიმსივნის გავრცელებაზე. სისხლძარღვები მსხვილი კალიბრისა და სპირალური კონფიგურაციისაა.

Nodular basal cell carcinoma - კვანძოვანი ბაზალურუჯრედოვანი კარცინომა, დამახასიათებელია მრავლობითი ნაცრისფერი წერტილები, ოვოიდური გლობულები, განტოტვილი და მსხვილი კალიბრის სისხლძარღვები. არსებობს პიგმენტური და არაპიგმენტური ფორმები

Nodular melanoma - კვანძოვანი მელანომა, დერმოსკოპიულად დამახასიათებელია ნაწილები და გლობულები, არამკვეთრი საზღვრები, მოთეთრო ან მონაცრისფრო არეები და ატიპური პიგმენტური ქსელი. ახასიათებს ქსოვილებში ვერტიკალური ზრდა, რის გამოც მელანომის ყველაზე აგრესიულ ფორმად ითვლება.

Nonpigmented actinic keratosis - არაპიგმენტური აქტინური კერატოზი, კიბოსწინარე დაავადება, დერმოსკოპიულად დამახასიათებელია „მარწყვის“ სტრუქტურა, წერტილოვანი და სპირალური სისხლძარღვები, ზედაპირული მოყვითალო ქერცლი, ჰიპერკერატოზული პერიფოლიკულური არეები და როზეტები, რომელთა ვიზუალიზაცია ხდება დერმოსკოპის არაპოლარიზებული ნათებით.

Nonpigmented Bowen's disease - არაპიგმენტური ბოუენის დაავადება, ზედაპირული ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა, დერმოსკოპიულად დამახასიათებელია ქერცლი ცენტრალურ ნაწილში, წერტილოვანი და სპირალური სისხლძარღვები და მოწითალო შეფერილობა

O

Optical coherence tomography - ოპტიკური კოჰერენტული ტომოგრაფია, ინფრარითელ სხივზე დაფუძნებული კვლევის მეთოდი, რომელიც დერმოსკოპიის შემდეგ ყველაზე ინფორმატიულია, ახდენს ქსოვილებში სხვადასხვა ნივთიერების (მელანინი, კოლაგენი) გროვების ვიზუალიზაციას.

P

Pagetoid cells - პეჯეტიოიდური უჯრედები, შეცვლილი, ატიპიური მელანოციტები, რომელიც დამახასიათებელია მელანომისათვის. დერმოსკოპიულად მათი გროვები გამოვლინდება რეგრესიის კერებითა და ატიპიური პიგმენტური ქსელით.

Parallel furrow pattern - პარალელურად დადარული კონფიგურაცია, ახასიათებს აკრალურ, ხელისა და ფეხის გულების ნეკრუსებს, უმეტესად კეთილთვისებიანი ბუნებისაა და არსებობს მისი რამდენიმე ტიპი: ერთხაზოვანი, ორხაზოვანი, წერტილოვანი და ორხაზოვან-წერტილოვანი, გამოვლინდება პარალელურად განლაგებული ხაზების სახით, რომელიც იმეორებს ანაბეჭდების არქიტექტონიკას.

Parallel ridge pattern - პარალელურად განლაგებული ქედისებური კონფიგურაცია, როცა მელანინი ჩალაგებულია აკრალური ნაწილების კანის ქედისებურ შემადღებებზე.

Polygonal lines - პოლიგონალური ხაზები, ახასიათებს მელანომას, თუ ისინი ლოკალიზებულია პერიფოლიკულურ არეში.

Prokeratosis - პოროკერატოზი, კეთილთვისებიანი წარმონაქმნი, რომელიც დერმოსკოპიულად გამოვლინდება მონაცრისფრო პერიფერიით, ცენტრალური ნაწილის პიგმენტაციით, მოწითალო ან ყავისფერი წერტილებით და ნაწიბურისმაგვარი მოთეთრო ფერის არეებით.

R

Radial vessels - რადიალური სისხლძარღვები, მსხვილი კალიბრის სისხლძარღვები, რომლებიც განლაგებულნი არიან რადიალურად, ერთმანეთის პარალელურად, დამახასიათებელია კერატოაკანტომისათვის.

Red rhomboidal structures - წითელი ფერის რომბოიდული სტრუქტურები, რომლებიც ლოკალიზებულია პერიფოლიკულურ სივრცეებში და დამახასიათებელია მალიგნიზირებული ლენტიგოსათვის.

Regression - რეგრესია, უუგანვითარება, ახასიანებს კანის ავთვისებიან სიმსივნებს და დერმოსკოპიულად გამოვლინდება მოთეთრო ფერის უსტრუქტურო არეების სახით.

Reticular pattern - ბადისებრი კონფიგურაცია, პიგმენტის ბადისებრი ჩალაგება, რაც დერმოსკოპიულად ახასიათებს თანდაყოლილ მელანოციტურ ნეკრუსს, ასევე რიც შემთხვევაში მელანომას, როცა მას თან ახლავს უსტრუქტურო არეები.

Rhomboidal structures - რომბისებური სტრუქტურები, კუთხოვანი მოხაზულობის სტრუქტურები, განლაგებული უპირატესად ფოლიკულის ირგვლივ, ახასიათებს პიგმენტურ აქტინიურ კერატოზსა და მალიგნიზირებულ ლენტიგოსს.

Rosette-like structures - „ჩამრთველის“ (როზეტის) მსგავსი სტრუქტურები, ოთხი ელემენტისაგან შემდგარი მოთეთრო ფერის ჩანართი, რომელიც კარგად ვიზუალიზდება პოლარიზებული ნათებით. ახასიათებს აქტინიურ კერატოზს, დერმატოფიბრომას, ბრტყელუჯრედოვან კარცინომას და კონტაგიოზურ მოლუსკს.

S

Sclerotic blue nevus - სკლეროზული ლურჯი ნევუსი, რეგრესული ნევუსი, რომელიც გამოვლინდება მოთეთრო ფერის ცენტრით და ლურჯი ფერის პერიფერიით, საჭიროა დიფერენცირება მელანომასთან.

Sebaceous hyperplasia - ცხიმოვანი ჯირკვლის ჰიპერპლაზია, დერმოსკოპიულად ახასიათებს მოთეთრო- მოყვითალო შეფერილობის ცენტრი, ჭიპისებრი ჩაღრმავება, მსხვილი კალიბრის სისხლძარღვები გვირგვინისებრი განლაგებით.

Shiny white structures - მბრწყინავი თეთრი სტრუქტურები, იგივე „ვარსკვლავები ცაზე“ დამახასიათებელია სებორეული კერატომისათვის და ხილულია არაპოლარიზებული ნათებით.

Spitz nevus - სპიტცის ნევუსი, ძირითადად ლოკალიზებულია ქვედა კიდურებზე, არსებობს ჰიპო- და ჰიპერპიგმენტური ვარიანტი, ახასიათებს სპონტანური ინვოლუცია და ხშირად საჭიროებს დიფერენციალურ დიაგნოსტიკას მელანომასთან, პიგმენტის ჩალაგებისა და საზღვრების გამო.

Strawberry pattern - „მარწყვისებური“ კონფიგურაცია, წარმოდგენილი წითელი და თეთრი წრიული არეების მონაცვლეობით, დერმოსკოპიული კრიტერიუმი, რომელიც ახასიათებს აქტინიურ კერატოზს და ბრტყელუჯრედოვან კარცინომას.

Subungual hematoma - ფრჩხილქვეშა ჰემატომა, განვითარებული ტრავმის გამო, საჭიროებს დიფერენცირებას ფრჩხილქვეშა მელანომასთან, დერმოსკოპიულად გამოვლინდება სხვადასხვა ფერის (შავი, წითელი, იასამნისფერი, ჟანგისფერი, ყავისფერი) უსტრუქტურო, დეზორგანიზებული ლაქების სახით.

Starburst pattern - „ვარსკვლავის აფეთქების“ მსგავსი კონფიგურაცია, დერმოსკოპიული კრიტერიუმი, რომელიც გამოვლინდება განტოტვილი პიგმენტური პერიფერიის მქონე სტრუქტურის სახით, ძირითადად ახასიათებს სპიტცის ნევუსს და მიუთითებს წარმონაქმნის რადიალურ ზრდაზე.

T

Teleangiectasias - ტელეანგიექტაზიები, გაფართოებული სისხლძარღვოვანი ქსელი, რომელიც უპირატესად დამახასიათებელია კანის ავთვისებიანი სიმსივნეებისათვის, ანთებითი და სისტემური დაავადებებისათვის.

Thrombosed angioma - დათრომბილი ანგიომა, დერმოსკოპიულად გამოვლინდება მკვეთრი საზღვრების მქონე, ერთგვაროვანი, მოშავო ფერის სტრუქტურის სახით.

Trichoepithelioma - ტრიქოეპითელიომა, კეთილთვისებიანი სიმსივნე, რომელიც ასოცირებულია თმის ფოლიკულთან, დერმოსკოპიულად დამახასიათებელია განტოტვილი სისხლძარღვები და კრისტალური სტრუქტურები, რითაც წააგავს ბაზალურუჯრედოვან კარცინომას და დიფერენციაციისთვის რიგ შემთხვევაში საჭიროებს პათომორფოლოგიურ კვლევას.

Trichoscopy - ტრიქოსკოპია, თავის თმიანი მიდამოს დერმოსკოპია, გამოიყენება თავის თმიან არეში არსებული სხვადასხვა დაავადებების დიფერენციალური დიაგნოსტიკისა და მათი მკურნალობის მონიტორინგის მიზნით.

Trichorrhaxis invaginata - ინვაგინაციური ტრიქორექსისი, „ბამბუკის“ მსგავსი თმის ღერები, დამახასიათებელი კვანძებით თმის ღერის გასწვრივ, ახასიათებს ნეტერტონის სინდრომს, ატოპიურ დერმატიტსა და იქთიოზს.

Trichorrhaxis nodosa - კვანძოვანი ტრიქორექსისი, თმის ღერები კვანძებით და ფუნჯისმაგვარი დისტალური დაბოლოებით, ახასიათებს თმის გენეტიკურ დისტროფიას.

U

Ugly ducking sign - „მახინჯი იხვის“ ნიშანი, ტერმინი, რომელიც მრავლობითი ხალის მქონე ინდივიდებში აღნიშნავს ისეთ ხალს, რომელიც კლინიკურად ან დერმოსკოპიულად განსხვავებულია სხვებისაგან.

Ulceration - დაწყლულება, წარმონაქმნის მთლიანობის დარღვევა, ახასიათებს კანის ავთვისებიან სიმსივნეებს, დერმოსკოპიულად განსხვავდება მათი ფერი და ზომა, რაც დამოკიდებულია სიმსივნის ტიპსა და შეფერილობაზე.

Ultraviolet-enhanced trichoscopy - ულტრაიისფერი გამოსხივებით გაძლიერებული ტრიქოსკოპია, რომელიც გამოიყენება თავის თმიანი მიდამოს მიკოზების სადიაგნოსტიკოდ, წარმოადგენს ტრიქოსკოპისა და ვუდის ნათურის კომბინაციას.

V

Videocapillaroscopy - ვიდეოკაპილაროსკოპია, მეთოდი, რომლის დახმარებითაც ხდება კაპილარების ვიზუალიზაცია, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სისტემური დაავადებების დიაგნოსტიკისათვის.

W

White color - თეთრი ფერი დერმოსკოპიულად, აღნიშნავს ფიბროზს ან ჰიპერკერატოზს, ჰისტოპათოლოგიურად შეესაბამება ქსოვილის რეგრესიას, ახასიათებს დერმატოფიბრომას და კანის ავთვისებიან სიმსივნეებს

White linear streaks - თეთრი ხაზოვანი ზოლები, დერმოსკოპიულად დამახასიათებელია მელანომის, ნაწიბურისა და ბაზალურუჯრედოვანი კარცინომისათვის, შეესაბამება კოლაგენის კერების არსებობას პათომორფოლოგიურად.

Whitish striae - მოთეთრო სტრიები, ახასიათებს ბრტყელი ლიქენის და მორფეას დერმოსკოპიულ სურათს.

Y

Yellow dots - ყვითელი წერტილები, მრგვალი ან პოლიციკლური მოხაზულობის წერტილები, დამახასიათებელია ძირითადად ბუდობრივი ალოპეციისათვის (ამ დროს მათი განლაგება და განაწილება რეგულარულია), ასევე ახასიათებს ანდროგენულ ალოპეციას (აქვს მოყვითალო-ყავისფერი შეფერილობა ცხიმის სეკრეციის გამო), დიდი ზომის ყვითელი წერტილები, რომელიც ამოვსებულია კერატინით, დამახასიათებელია დისკოიდური წითელი მგლურასათვის.

Z

Zigzag hairs - ზიგზაგისებრი თმის ღერები, ტრიქოსკოპიული მახასიათებელი, რომელიც გვხვდება თავის თმიანი მიდამოს მიკოზისა და ზოგჯერ ბუდობრივი ალოპეციის საწყის ეტაპზე.

დანართი

ABCD წესი (ABCD Rule)

ABCD წესი (Stolz-ის მეთოდი) არის დერმოსკოპიული ალგორითმი, რომელიც ახდენს დიფერენცირებას კეთილთვისებიან მელანოციტურ წარმონაქმნსა და მელანომას შორის, აფასებს რამდენიმე კრიტერიუმს, კერძოდ:

კრიტერიუმები	ქულა	კოეფიციენტი X	შედეგი
ასიმეტრია: პერპენდიკულარული ღერძის მიმართ რომელ მხარესაა ასიმეტრია	0-2	1.3	0-2.6
საზღვრები 8 წარმოსახვითი სეგმენტიდან რამდენ მათგანშია გამოხატული პიგმენტური ქსელი მკვეთრი საზღვრებით	0-8	0.1	0-0.8
ფერი: თეთრი, წითელი, ღია და მუქი ყავისფერი, მოლურჯო-მონაცრისფრო ან შავი	1-6	0.5	0.5-3.0
დიფერენცირებული დერმოსკოპიული სტრუქტურები: პიგმენტური ქსელი, უსტრუქტურო არეები, წერტილები, გლობულები, დატოტვილი პიგმენტური ხაზები	1-5	0.5	0.5-2.5

შედეგების ინტერპრეტაცია	საერთო ქულა
კეთილთვისებიანი წარმონაქმნი	<4.76
საუჭვო წარმონაქმნი	>4.76-5.45
მელანომა	>5.45

მენზის მეთოდი (Menzies Method)

მენზის მეთოდი გამოიყენება კეთილთვისებიანი მელანოციტური წარმონაქმნებისა და მელანომის დიფერენცირებისათვის. მისი გამოყენების დროს ფასდება რამდენიმე ტიპის დერმოსკოპიული გამოვლინებები, კერძოდ:

კეთილთვისებიანი წარმონაქმნის მახასიათებლები:

- სიმეტრიული კონფიგურაცია

- ერთგვაროვანი შეფერილობა

მელანომის მახასიათებლები:

- მოლურჯო-თეთრი ვუალი
- მრავლობითი ყავისფერი წერტილები
- ფსევდოპოდები
- რადიალური დაზოლვა
- ნაწიბუროვანი ცვლილებები
- სხვადასხვა ფერის არსებობა
- მსხვილი ხაზებით გამოხატული პიგმენტური ბადე

3 ნიშნის წესი (Three-point rule)

3 ნიშნის წესი გამოიყენება პიგმენტური წარმონაქმნების შეფასებისათვის. თუ წარმონაქმნს ქვემოთჩამოთვლილი სამი ნიშნიდან აქვს ორი, ის ფასდება, როგორც საეჭვო და საჭიროებს დამატებით კვლევას. ეს ნიშნებია:

- ასიმეტრიულობა
- ატიპიური პიგმენტური ქსელი, რომელიც გამოხატულია არარეგულარული და მსხვილი ხაზებით
- მოლურჯო- თეთრი ფერის არეები, განსაკუთრებით შერწყმული რეგრესის კერებთან

7 ნიშნის წესი (Seven-point rule)

7 ნიშნის წესი (Argenziano-ს მეთოდი) გამოიყენება კეთილთვისებიანი მელანოციტური წარმონაქმნებისა და მელანომის დიფერენცირებისათვის. თითოეულ კომპონენტს მინიჭებული აქვს ქულა. 3 ან მეტი ქულის დაგროვების შემთხვევაში საეჭვოა მელანომა. ეს ნიშნებია:

- ატიპიური პიგმენტური ქსელი (2ქ)
- მოლურჯო-თეთრი ვუალი (2ქ)
- ატიპიური სისხლძარღვოვანი კონფიგურაცია (2ქ)
- არარეგულარული პიგმენტური ხაზები (1ქ)
- არარეგულარული წერტილები/გლობულები (1ქ)
- არარეგულარული პიგმენტური არეები (1ქ)
- რეგრესული სტრუქტურები (1ქ)

CASH ალგორითმი (CASH Algorithm)

CASH ალგორითმი (Kopf-ის მეთოდი) გამოიყენება მელანომის დიაგნოსტირებისათვის. C (Colour) - ფერი, A (Architecture) - არქიტექტურა, S (Symmetry) - სიმეტრიულობა, H - (Homogeneity) ერთგვაროვნება

დერმოსკოპიული მახასიათებლები	მელანომის დაბალი რისკი	მელანომის საშუალო რისკი	მელანომის მაღალი რისკი
ფერი: ერთფეროვანი თუ მრავალფეროვანი დერმოსკოპიული სურათი (1 ქულა შეესაბამება 1 ფერს)	1-2 ფერი (1-2 ქულა)	3-4 ფერი (3-4 ქულა)	5-6 ფერი (5-6 ქულა)
არქიტექტურა: სტრუქტურირებული თუ უსტრუქტურო (0-2 ქულა)	0 ქულა	1 ქულა	2 ქულა
სიმეტრიულობა: სიმეტრიული თუ ასიმეტრიული (0-2 ქულა)	დაცული სიმეტრია (0 ქულა)	სიმეტრიულობა ერთ მხარეს (1 ქულა)	ასიმეტრიულობა ორივე მხარეს (2 ქულა)
ერთგვაროვნება: ერთგვაროვნება თუ არაერთგვაროვნება: პიგმენტური ქსელი, წერტილები/გლობულები, რეგრესული კერები, მოლურჯო-თეთრი ვუალი, პოლიმორფული სისხლძარღვები (თითოეულ კომპონენტს ენიჭება 1 ქულა)	მხოლოდ ერთი სტრუქტურე 1 ქულა)	ორი სტრუქტურა (2 ქულა)	3 და მეტი სტრუქტურა (3-7 ქულა)

- თუ CASH ალგორითმის ჯამური ქულა არის 7 ან მასზე ნაკლები, წარმონაქმნი არის კეთილთვისებიანი.
- თუ CASH ალგორითმის ჯამური ქულა არის 8 ან მასზე მეტი, საეჭვოა მელანომა.

